დანართი

„იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული კონკურსი“

საკონკურსო დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 სსიპ შემოქმედებითი საქართველოს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული კონკურსის“ (შემდგომ - კონკურსი) საკონკურსო დებულება (შემდგომ - დებულება) განსაზღვრავს კონკურსის საკონკურსო პირობებს და კონკურსის ჩატარების წესს.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

2.1 კონკურსის მიზანია:
ა) საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა;
ბ) საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა;
გ) ლიტერატურული პროცესების განვითარება;
დ) ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების პერიოდულობა

3.1 სსიპ შემოქმედებითი საქართველო, როგორც წესი, კონკურსს აცხადებს ყოველწლიურად მის მიერ განსაზღვრულ პერიოდში.

მუხლი 4. საკონკურსო პირობები

4.1 საკონკურსო ნომინაციებია:
ა) საუკეთესო პოეტური წიგნი (გაიცემა ერთი პრემია);
ბ) საუკეთესო პროზაული წიგნი (გაიცემა სამი პრემია);
   ბ.ა) ყველაზე პატარებისთვის, 3–6 წელი;
   ბ.ბ) პატარებისთვის, 7–12 წელი;
   ბ.გ) ყმაწვილებისთვის, 13 წლიდან.
გ) საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი (გაიცემა ორი პრემია);
   გ.ა) ყველაზე პატარებისთვის, 3–6 წელი;
   გ.ბ) პატარებისთვის, 7–12 წელი.
დ) საუკეთესო საბავშვო დრამატურგია (გაიცემა ერთი პრემია);
ე) საუკეთესო დებიუტი (გაიცემა ერთი პრემია);
ვ) საუკეთესო ნათარგმნი საბავშვო/საყმაწვილო წიგნი (გაიცემა ერთი პრემია);

ზ) საბავშვო-საყმაწვილო ინოვაციური პროექტი (გაიცემა ერთი პრემია);
თ) საბავშვო ლიტერატურაში გაწეული ღვაწლისთვის (გაიცემა ერთი პრემია).
4.2 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:
4.2.1. საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს);
4.2.2. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს;
4.2.3. წინამდებარე დებულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ „საბავშვო ლიტერატურაში გაწეული ღვაწლისთვის“ ნომინაციაში განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს).
4.3 კონკურსის ფარგლებში განიხილება საკონკურსო განაცხადი წიგნად გამოცემული ნაწარმოების შესაფასებლად, რომელიც გამოცემულია 2024 წლის იანვრიდან კონკურსის განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.
4.4 თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა შეადგენს 5 000 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
4.5 ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, პრემია გაიცემა თითოეული ნომინაციისათვის.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის წესი

5.1 კონკურსის მონაწილემ (შემდგომ - კონკურსანტი) კონკურსში მონაწილეობის მიზნით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) განცხადება (წინამდებარე დებულების დანართი №1);
ბ) სააპლიკაციო ფორმა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს კონკურსის ფარგლებში განსახილველი ნაწარმოები (წინამდებარე დებულების დანართი №2).
გ) ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (მიმდინარე წლის).
დ) სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ დამატებითი მოთხოვნის შესაბამისად, სხვა ინფორმაცია / დოკუმენტაცია.
5.2 საკონკურსო განაცხადები მიიღება ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@creativegeorgia.ge და ნაწარმოები ნაბეჭდი წიგნის სახით (5 ეგზემპლარი) სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4). ხოლო ნომინაციაში „საუკეთესო საბავშვო დრამატურგია“ და „საბავშვო-საყმაწვილო ინოვაციური პროექტი“ კონკურსანტს მიეცემა შესაძლებლობა, პიესები და ინოვაციური პროექტები წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით.
5.3 კონკურსის ერთ ნომინაციაში დასაშვებია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის წარდგენა.

5.4 კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.
5.5 საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი ნაწარმოებისა და წარმოდგენილ წიგნში შეტანილი მასალების გამოყენების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და ამასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე სრულად პასუხისმგებელია კონკურსანტი.
5.6 საკონკურსო განაცხადი მიღებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ელექტრონულად გამოგზავნილ საკონკურსო განაცხადზე ელექტრონული ფოსტიდან - info@creativegeorgia.ge განმცხადებელი მიიღებს დასტურს განაცხადის მიღების შესახებ.
5.7 საკონკურსო განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 5 სამუშაო დღე, რომლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია რჩება განუხილველი.
5.8 საკონკურსო განაცხადის განხილვის პროცესში სსიპ შემოქმედებითი საქართველო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.
5.9 კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ნაბეჭდი წიგნების ერთი ეგზემპლარი რჩება სსიპ შემოქმედებითი საქართველოს არქივში, ხოლო დარჩენილი ეგზემპლარები დაჯილდოების ღონისძიების შემდეგ დაუბრუნდება კონკურსანტს.

მუხლი 6. კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის წესი

6.1 კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვისა და შეფასების მიზნით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს დირექტორის ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო კომისია (შემდგომ - კომისია).
6.2 კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს და სსიპ შემოქმედებითი საქართველოს დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისია.
6.3 კომისიის გადაწყვეტილება გამარჯვებულის გამოვლენის და მათი წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული პრემიით დაჯილდოება მტკიცდება სსიპ შემოქმედებითი საქართველოს დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი

7.1 საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისგან.
7.2 კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.
7.3 კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვასა და შეფასებას საკონკურსო კომისია ასრულებს განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.
7.4 საკონკურსო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში იმოქმედებს ამ დებულებისა და მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად. თუ საკონკურსო კომისიის წევრს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს საკონკურსო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა.

7.5 საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი და პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე, არ გაამჟღავნოს კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

7.6 საკონკურსო კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. არავის აქვს უფლება ჩაერიოს საკონკურსო კომისიის წევრის საქმიანობაში ან/და მოახდინოს მასზე რაიმე ზეგავლენა.

7.7 საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის ან სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს დირექტორი უფლებამოსილია შეცვალოს საკონკურსო კომისიის წევრი.

7.8 კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსის მონაწილე.

7.9 კომისია გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო განაცხადების ქულებით შეფასების საფუძველზე. საკონკურსო განაცხადების შეფასება ხორციელდება 10 ქულის ფარგლებში, საკონკურსო განაცხადის კონკურსის მიზანთან და პირობებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

7.10 ერთ ნომინაციაში წარმოდგენილი განაცხადების თანაბარი ქულებით შეფასების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის შეფასება.

7.11 კომისია საქმიანობას წყვეტს კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებისთანავე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

8.1 საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ დებულებით წესრიგდება „კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების დაფინანსების/ფინანსური ხელშეწყობის განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 20 მაისის №05/09 ბრძანებით.

8.2 საკონკურსო განაცხადების მიღების პერიოდად განსაზღვრულია 2025 წლის 1 ოქტომბრიდან - 10 ოქტომბრის 18:00 საათის ჩათვლით.

8.3. კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენისა და დაჯილდოების ღონისძიების შესახებ დამატებით ეცნობებათ კონკურსანტებს მათ მიერ წარმოდგენილ საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

8.4. კონკურსთან დაკავშირებული კითხვების ან წარდგენილ განაცხადზე დასტურის მიუღებლობის შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: info@creativegeorgia.ge